შ.პ.ს. „ჯავახავტოგზა“

ქ. ახალქალაქი, შაუმიანის ქ. №1 ტელ. 599 10 82 83

№37

01.07.2019 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ჯავახავტოგზა“ ვეგმავს ასფალტის ქარხანის განთავსებას ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ქ. ახალქალაქის სამხრეთით, მისგან 4,0კმ-ის დაშორებით, სოფ. ხოსპიოს მიმდებარედ, ახალქალაქი-ნინოწმინდის საავტომობილო გზასა და მდ. ფარავანს შორის, საკადასტრო კოდით - 63.19.34.008 მოცემულ ტერიტორიაზე. პროექტის მიზანია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და ზოგადად საქართველოში უახლოეს მომავალში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მომარაგება საგზაო სამშენებლო მასალით.ამჟამად შპს „ჯავახავტოგზა“ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ახორციელებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვრის საავტომობილო გზის კმ98-კმ112 და კმ70-კმ86 მონაკვეთების რეაბილიტაციის სამუშაოებს,№13 ზონის გზების მოვლა-შენახვის სამუშაოებს და ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების დაფინანსებულ სოფლის გზების და ქალაქის ქუჩების მოასფალტების სამუშაოებს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შპს „ჯავახავტოგზა“ (ს/კ: 63.19.34.008) წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას ამავე კოდექსის II დანართის 5.3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობისათვის, რათა სამინისტრომ მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ-ს).

დოკუმენტი მომზადებულია გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია, შპს „ეკომენ“-ის (ს/კ: 405153060) მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, შპს „ჯავახავტოგზის“ სახელით შეიტანოს ცვლილებები ზემოაღნიშნულ დოკუმენტში. გთხოვთ, სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ პასუხი მიაწოდოთ შპს „ეკომენის“ დირექტორს ბ-ნ თორნიკე ასათიანს შემდეგ მისამართზე: ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ. მე-7 კორპ. ბ.13, ქ.თბილისი 0186.

პატივისცემით,

შპს „ჯავახავტოგზა“

დირექტორი ნოდარ ინასარიძე

№ 9526
02 07 2019
1 ფ.